**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

14 ნოემბერი 2023

N 01/1/3050

გლდანის რაიონის გამგეობას

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას

გაცნობებთ, რომ 2023 წლის **7 ნოემბერს სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ** სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინა **თბილისისა და მცხეთის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე 220 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „არაგვის“ რეკონსტრუქცია/გაორჯაჭვიანებისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის განცხადება. გზშ-ის ანგარიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/03f3c017-a0ec-43e5-9c10-884562a22c96**

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 12 იანვრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება **2023 წლის 25 დეკემბერს 12:00 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძველი ქანდას საჯარო სკოლის შენობასაში, მიმდინარე წლის 25 დეკემბერს 15:00 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. საგურამოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობასა და მიმდინარე წლის 26 დეკემბერს 12:00 საათზე გლდანის გამგეობის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში (მის: სარაჯიშვილის ქ. N1გ).** გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 12-ე მუხლის შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში საქმიანობის განმახორციელებლის მხრიდან განცხადება დარეგისტრირდა **2023 წლის 7 ნოემბერს.** აღნიშნული განცხადების რეგისტრაციიდან, არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სააგენტო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ, ხოლო ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის

განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც **გლდანის რაიონის გამგეობისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის** მერიის საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით ზემოაღნიშნული პროექტის გზშ ანგარიშის განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: +995 322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 2 გვერდი

- პროექტის დოკუმენტაცია - 11 ფაილი

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი